ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3896376

ნომერი: AR1567525

თარიღი : 13.03.2018

გაცემის თარიღი : 02.04.2018

გაცნობის თარიღი : 03.04.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თბილისი - სატვირთო , (ნაკვ. 02/017) / ქალაქი თბილისი , თორნიკე ერისთავის ქ. N2/4-ის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , ქუჩა თ. ერისთავი , N 2/4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე კოკოლაშვილი პ/ნ 01008017172
- ო. ლორთქიფანიძის ქ. #1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

„ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების 37–ე მუხლის თანახმად,მიწის ნაკვეთი შეიძლება შემოიღობოს არაუმეტეს 2,2 მეტრი სიმაღლის ღობით, ამასთან, ღობის ყრუ ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს 1,8 მეტრს. ვინაიდან დაგეგმილი სამუშაოებით გათვალისწინებულია 4 მეტრი სიმაღლის ღობის მშენებლობა, სამსახურს აღნიშნულის განხორციელება შესაძლებლად არ მიაჩნია, დასაშვებია მხოლოდ ზემოაღნიშნული ნორმების დაცვით ღობის მშენებლობა ან მისი მოწყობის სამუშაოები ამოიღეთ დოკუმენტაციიდან, ლანდშაფტურ მშენებლობასთან დაკავშირებით კი გაითვალისიწნეთ შემდეგი:

1. წარმოადგინეთ ხე-ნარგავების ინვენტარიზაციის გეგმა (განმარტებითი ბარათით და ხე-ნარგავების აღწერის მონაცემთა ცხრილით) და შესაბამისი დენდროპორექტი;

2. წარმოადგინეთ ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი ლანდშაფტის კეთილმოწყობის გეგმა.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.